

7-04/203-17
07.06.17



რუსთავის საქალაქო სასამართლო

საქართველო, ქ.რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. № 6; ტელ: კანცელარია 0341 240805;
მისაღები: 0341 24 08 07;

№ 267/7

02 ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქუჩა #15;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

2017 წლის 30 მაისს რუსთავის საქალაქო სასამართლოში შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მომართა მხოლოდ ერთმა პირმა - დაზარალებულის უფლებამონაცვლემ საჩივრით პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილების გაუქმების თაობაზე, ხოლო რაც შეეხება განცხადების პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნებს, რუსთავის საქალაქო სასამართლოსთვის 2014 წლიდან 2017 წლის მაისის ჩათვლით არცერთ პირს არ მოუმართავს საჩივრით დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობასთან დაკავშირებით და დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის საჩივრით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

დანართი: დაშტრიხული დადგენილება 03 ფურცლად;
დაშტრიხული დადგენილება ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის თაობაზე 01 ფურცლად;

პატივისცემით,
მაია იასეშვილი

მაია იასეშვილი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სარეგ. # [redacted]



დადგენილება
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

მაისი, 2015 წელი

ქ.რუსთავი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
მოსამართლე - მაკა გველესიანმა

ორი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულის უფლებამონაცვლის - [redacted] საჩივარი
სამართლის # [redacted] საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დადგენილების გაუქმების
ახებ:

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2015 წლის მაისს, დაზარალებულის უფლებამონაცვლემ - [redacted] საჩივრით მომართა
რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის
უფილების პროკურორის [redacted] 2015 წლის აპრილის, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის
აქტზე, დადგენილების გაუქმება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურიდან გამოთხოვილი
ს.ს. # [redacted] საქმის მასალები, რომელიც სასამართლოში შემოვიდა 2015 წლის მაისს.

დაზარალებულის უფლებამონაცვლის - [redacted] საჩივრის და სისხლის სამართლის საქმის
საღების შესწავლიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის სრულად არის წარმოდგენილი ფაქტობრივი
საღები სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ, რის გამოც საჩივარზე გადაწყვეტილება
საძლეველია მიღებული იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი საჩივარი, გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს,
აჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2006 წლის თებერვალს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N [redacted] საქმეზე, [redacted]
განზრახ მკვლელობის ფაქტზე, დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის
108-ე მუხლით.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული იქნა
[redacted] ბრალდების დადგენილების მიხედვით: 2006 წლის თებერვალს, დაახლოებით 23:30
საათზე, ქ. რუსთავში, [redacted] კორპუსის გვერდით განლაგებულ ავტოფარეხებთან,
ერთიერთშელაპარაკებისა და ჩხუბის დროს, [redacted] დანის მრავალჯერადი დარტყმით მოკლა
[redacted] და მიიმალა.

2006 წლის თებერვალის დადგენილებით, [redacted] ცნობილ იქნა დაზარალებულის
უფლებამონაცვლედ.

2006 წლის თებერვალს, ქ. რუსთავის შს სამმართველომ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის
N [redacted] საქმეზე, 2006 წლის იანვარის ფაქტზე, [redacted] მიმართ, დანაშაულისათვის
გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, კერძოდ, განხილვებით, ექიმის დანიშნულების
გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, იგი 2006 წლის
მარტს დაუსწრებლად იქნა მიცემული პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, 2006 წლის
მარტს ალკვეთის დონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და იმავე დღეს მის მიმართ გამოცხადდა
ბრალდება.

2006 წლის მარტის პროკურორის დადგენილების საფუძველზე მოხდა სისხლის სამართლის
საქმიების გაერთიანება [redacted] მიმართ და გაერთიანებულ სისხლის სამართლის საქმეს მიენიჭა

ის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის III ნაწილის თანახმად, დადგენილება ბრალდებულად სამართლის პასუხისგებაში მიცემს, შესახებ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. საქმეში არსებული მასალები კი ვერ იქნება მიჩნეული უტყუარ მტკიცებულებებად ბრალულობის დასადასტურებლად, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებები იქნება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის IV ნაწილის დ. უნდა გადაწყდეს [redacted] სასარგებლოდ. სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებები ერთობლიობამ არ მისცა პროკურორს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ [redacted] ჩაიდინა [redacted] განზრახ მკვლელობა, რის გამოც [redacted] მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის დაკავშირებით) შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით, დანაშაულისთვის დადგენილი საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით, გამოყენებულია 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“, რომლის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, [redacted] თანხმობას აცხადებდა მის მიმართ გავრცელებულიყო ზ/აღნიშნული ამინისტიის

დენად, საქმეზე შეკრებილია მტკიცებულებები, რომლებსაც გამოძიების მხრიდან მიცემული აქვთ სამართლებრივი შეფასებები. გამოძიებას მიღებული აქვს დასაბუთებული და კანონის შესაბამისი მტკიცებულება, დადგენილებაში მითითებული არგუმენტები კი სისხლის სამართლის საქმის განხილვის შესახებ დასაბუთებული და კანონიერია, ამასთან, საჩივრის ავტორის მხრიდან ვერ იქნა დადგენილი ახალი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია, რაც გააბათილებდა დადგენილებაში აღნიშნულ არგუმენტაციას.

ამასთან, აღნიშნულის საფუძველზე, არ არსებობს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის [redacted] 2015 წლის [redacted] აპრილის დადგენილების გაუქმების საფუძველი.

სამართლოს მიაჩნია, რომ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის [redacted] 2015 წლის [redacted] აპრილის წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებით, აღარის შეწყვეტილი სისხლის სამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება.

სამართლომ იხელმძღვანელ საქართველოს სსკ-ის 241-242-ე და 395-400-ე მუხლებით (1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით) და

და ა დ გ ი ნ ა :

ბრალდებულის უფლებამონაცვლის - [redacted] საჩივარი ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის [redacted] 2015 წლის [redacted] აპრილის, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, დადგენილების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ.

სადასტურებლად დარჩეს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის [redacted] 2015 წლის [redacted] აპრილის დადგენილება სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი წესით 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს განყოფილებაში, რუსთავეის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე



/მ. გველესიანი/

დადგენილება

საქართველოს სახელით
ვადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის
აღმოფხვრის თაობაზე

მაისი, 2015 წელი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
მოსამართლე მაკა გველესიანი

ქ.რუსთავი:

ზეპირი მოსმენის ვარუშე, განიხილა სისხლის სამართლის # [redacted] საქმეზე, # [redacted]
დადგენილებაში არსებული უზუსტობა,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის [redacted] მაისის [redacted] დადგენილებით,
ზარალბულის უფლებამონაცვლის - [redacted] საჩივარი ქვემო ქართლის საოლქო
პროკურატურის განყოფილების პროკურორის [redacted] 2015 წლის [redacted] აპრილის
დადგენილების გაუქმების თაობაზე, არ დაკავშირდება უსაფუძვლოდობის გამო.

ბალაში დარჩა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის [redacted]
2015 წლის [redacted] აპრილის დადგენილება სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის [redacted] მაისის [redacted] დადგენილებაში დაშვებულია
ქნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ: დადგენილების სახელწოდებად ნაცვლად
სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისა მითითებულია წინასწარი გამოძიების შეწყვეტა, რაც
არმოდგენს უზუსტობას და უნდა გასწორდეს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებაში არსებული უზუსტობა უნდა
აღმოფხვრას, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 615-ე მუხლის თანახმად, „ვადაწყვეტილების
გამოტან სასამართლოს უფლება აქვს აღმოფხვრას ვადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-
უზუსტობები, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას.“
სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 615-ე, 453-ე მუხლებით.

და ა დ გ ი ნ ა :

აღმოფხვრას რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის [redacted] მაისის [redacted] დადგენილებაში
უზუსტობა. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის 2015 წლის [redacted]
აპრილის დადგენილების სახელწოდებად წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ნაცვლად მიეთითოს
სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის [redacted] მაისის [redacted] დადგენილება დანარჩენ ნაწილში
არჩეს უცვლელი.

მოცემული დადგენილება წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის [redacted] მაისის
[redacted] დადგენილების შემადგენელ ნაწილს.

დადგენილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მოსამართლე:

[Handwritten signature]

/მ. გველესიანი/